ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01200233769**
თარიღი: **23/01/2020**
პინი: **0020**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა თქვენი 2020 წლის 15 იანვრის N60-01200153299 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია (მოქალაქე რიმა ლომაურის №AR1717237 განცხადება), რომლითაც განმცხადებელი ითხოვს, თანასაკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (ქალაქ თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქუჩა N: 42, 44, 46ა, ქუთაისის ქუჩა N: 31, 33, 35, ს.კ.: 01.13.05.015.040; ფუნქციური ზონა: სზ-3) III კლასის სავაჭრო ცენტრის მშენებლობის მიზნით, წარმოდგენილი გამწვანების პროექტის შეთანხმებას.

გაცნობებთ, რომ მოცემული პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავების რაოდენობა **(გადასარგავი 16 ძირი ნარგავი, ასევე დასარგავი 9 ძირი ირმის რქა, 3 ძირი მსხვილფოთოლა ნეკერჩხალი, 3 ძირი მარადმწვანე მუხა და 1 იტალიური ფიჭვი, სულ - 32 ერთეული ხე)** სრულად ითვისებს, სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 12 ივლისის №4587339 ბრძანებით დადგენილ სავალდებულოდ ასათვისებელ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (314.25 კვ. მეტრი). აგრეთვე, იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვავებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები შერჩეულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, ამდენად **სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით დამტკიცდეს გამწვანების პროექტი.**

ნებართვის გაცემიდან 10 დღის ვადაში ნებართვის მფლობელი ვალდებულია მოსალოდნელი მშენებლობის საინფორმაციო დაფის გვერდით განათავსოს ზემოაღნიშნული გამწვანების პროექტის ძირითადი ასპექტების და პარამეტრების ამსახველი ინფორმაცია.

ასევე, მოგახსენებთ, რომ საინფორმაციო დაფაზე გამწვანების პროექტი ვიზუალურად უნდა გამოისახოს მაკეტის ან/და ფოტომონტაჟის სახით. საინფორმაციო დაფის მინიმალური გაბარიტი უნდა იყოს A2 ზომის ფორმატის შესაბამისი. საინფორმაციო დაფა უნდა შენარჩუნდეს სამშენებლო სამუშაოების წარმოების მთელი პერიოდის განმავლობაში და მოიხსნას შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდგომ.

დამატებით გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოყენებული იქნება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისათვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი (21-ე მუხლის მე-5^1 პუნქტი).

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი